



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N8**

ქ. ლანჩხუთი

16. 07. 2018 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მდივანი კახაბერ ასკურავა (განცხადება N292-ის საფუძველზე), საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი. მან მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/ უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ც. ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

6. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 31 ივლისი, 11:00 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/ უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2015 წლის 30 ივნისის N28 დადგენილებით, დამტკიცებული აქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, აუქციონში გამარჯვებულზე გასაცემი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმა, რომელსაც მუნიციპალიტეტის ქონების მმართველის სახელით ხელს აწერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად და იმ გარემოების გამო, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ბოლო წლებია მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვას უმეტეს წილად ელექტრონული აუქციონის ფორმით ახორციელებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საკუთრების დამადასტურებელი ტიპური ფორმა უნდა დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტის (დანართი) სახით, რომელსაც ხელს მოაწერს აუქციონატორი- (მუნიციპალიტეტის ქონების მმართველი/წარმომადგენელი).

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/ უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3.პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ციცინო ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ გენდერულ საბჭოში შესვლის უფლება ჰქონდა საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ეს შეზღუდვა იხსნება და გენდერულ საბჭოში შესვლის უფლება ექნება საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამას გარდა, დებულებაში აღარ იქნება განსაზღვრული, თუ რამდენი მამაკაცი ან ქალბატონი უნდა იყოს საბჭოში პროცენტულად გაწევრიანებული. ასევე, განხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომლის მიხედვით სიტყვა „გამგებელი“-ს ნაცვლად უნდა დაიწეროს „მერი“.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **ციცინო ჩხაიძე**.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით მოწვეული იყო შესაბამისი სპეციალისტები, რომელთან ერთადაც სიღღმისეულად იქნა განხილული ძირითადი თემები.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქე იური ჩხაიძემ წერილობით მომართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომლის მიხედვით მის საკუთრებაში არსებული ფართობი წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მიერ არის გავერანებული. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრების მიერ ადგილზე იქნა დათვლიერებული აღნიშნული ფართობი. ასევე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ -ს მიერ ქალაქში გაშენებული ყვავილები და მწვანე ნარგავები ნადგურდება პირუტყვის მიერ. ასეთი ფაქტებიდან გამომდინარე, საჭიროა აუცილებლად მოეწყოს ჩიხი და ამ მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უნდა მოხდეს შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის თქმით, ეს რეგულაციები მიღებულ იქნა 2011 წელს და იგი ვრცელდებოდა მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, აღნიშნული ღონისძიებები გატარდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიებზე.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მდივნის, **კახაბერ ასკურავას** აზრით, სოფლებში ასეთი რეგულაციების გატარება უსაფუძვლოა და ძალიან ცუდად იმუშავებს. ეს უნდა განხორციელდეს მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე, როგორც აქამდე ხდებოდა.

საკრებულოს ბიუროს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** თქმით, ეს რეგულაციები არა თუ ცუდად იმუშავებს, ამ კუთხით კონტროლიც კი ვერ განხორციელდება. ამასთან, სოფლებში ავტომაგისტრალზე თუ კი რაიმე შემთხვევას აქვს ადგილი, ამ დროს პირუტყვის პატრონს ადმინისტრაციული სასჯელი ისედაც უწესდება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე, **ბესიკ კუპრაძე** დაინტერესდა, რომ მოქალაქეს, რომელმაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა წერილობით პირუტყვის მიერ კერძო საკუთრების დაზიანების თაობაზე, შეღობილი ქონდა თუ არა საკუთრებაში არსებული ფართობი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვაძის** თქმით, მოქალაქეს შემოღობილი ქონდა კერძო საკუთრება. შესაბამისად, მას განემარტა, რომ თუ პირუტყვი შეიჭრება კერძო საკუთრებაში და დააზიანებს, ამ შემთხვევაში კერძო მესაკუთრეს უფლება აქვს წამოიწყოს სამოქალაქო დავა და მიმართოს სასამართლოს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017

წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 28 ივნისის N1316 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 134679 ლარი; მათ შორის: გზის რეაბილიტაციისათვის 90032 ლარი, კულტურის ობიექტების რეაბილიტაციისათვის 44647 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრი“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში არაფინანსური აქტივების მუხლის 45000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდირების დაფინანსება 45000 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თქმით, მიმდინარე წლის 11 ივლისს ცნობილი გახდა, რომ საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 50000 ლარი გაიზარდა და განისაზღვრა 86434 ლარით. ასევე ცვლილება განიცადა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებამ, რომელიც განისაზღვრა 631 580 ლარით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, ცნობილი იყო თუ არა თავიდან, რომ ნაგავმზიდებისა და ურნების შესაძენად გამოყოფილი თანხა იყო პროცენტიანი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტმა გადაიხადა აღნიშნული თანხის პროცენტი და მისი აზრით, დარჩენილი იქნება მხოლოდ ძირითადი თანხა.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მდივნის, **კახაბერ ასკურავას** თქმით, მუნიციპალიტეტის მერს ამ საკითხთან დაკავშირებით არ აკისრებს პასუხისმგებლობას, რადგან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მუნიციპალიტეტის წინა გამგებელმა. მაგრამ სახელმწიფოს ყავს ახალი პრემიერ მინისტრი და შესაბამისად, ახალი მთავრობა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობაა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნული საკითხის თაობაზე მომზადდეს და გაეგზავნოს სათანადო წერილი ფინანსთა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ახალ მინისტრებს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** აზრით, ხომ შეიძლება მოხდეს ხელშეკრულების გადახედვა, ამიტომ ამ მიმართულებით აუცილებელია ახალ მთავრობასთან კომუნიკაცია.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიაშვილმა** თქმით, არ არის გამორიცხული ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლი გადაიხედოს, მაგრამ მანამდე უნდა მოხდეს საკითხის დაზუსტება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** საჭადრაკო სკოლასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შენობა არის ორსართულიანი, რომლის მეორე სართულზე

განთავსდება საჭადრაკო სკოლა, პირველ სართულზე- სველი წერტილები, როგორც ეს პროექტშია, მაგრამ გასაკეთებელი რჩება ერთი ოთახი და მის მოსაწესრიგებლად საჭიროა 16000 ლარი. ამ თანხის მიხედვით წარმოდგენილია ახალი პროექტი და კარგი იქნება, თუ მოხდება მისი გათვალისწინება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსგან ავარიულ შენობებთან დაკავშირებით თუ არის ჩამოსული შესაბამისი დასკვნები.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, **გიორგი ფაცურას** განმარტებით, ექსპერტიზის პასუხები მოსულია. მათ შორის შუხუთის ყოფილი კლუბის, აცანის ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის, ხაჯალიის სკოლის მიმდებარე ფარდულის და საბავშვო ბაღის შენობებთან დაკავშირებით. უახლოეს პერიოდში კი გადაწყდება მათ დემონტაჟთან დაკავშირებით აუქციონი გამოცხადდეს თუ ჩატარდეს ტენდერი.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში პროცესები დროში გაიწელება. ავარიულ შენობებთან დაკავშირებით ძალიან ცუდი მდგომარეობაა შუხუთისა და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ამიტომ, დროის მოგების მიზნით და სიტუაციის უფრო სწრაფად მოსაგვარებლად უნდა ჩატარდეს ტენდერი ამ შენობებთან დაკავშირებით მაინც.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებულ ავარიულ და უსახურ შენობებთან დაკავშირებით მოწვეული უნდა იქნან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან ან კერძო ექსპერტები, რათა მოხდეს ასეთი შენობების შეფასება და დროულად გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, მერიის ზედამხედველობისა და იურიდიულ სამსახურებს დაევალებათ არსებული სიტუაციის შესწავლა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოძიებულ იქნება ავარიული და უსახური შენობები. არ აქვს მნიშვნელობა -სახელმწიფო ბალანსზე ირიცხებიან ისინი თუ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასეთი საშიშ შენობებთან დაკავშირებით შესაბამის უწყებებს მიეწოდებათ ინფორმაცია და გატარდება სათანადო ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გიორგი ფაცურიასთან ერთად დაათვალიერა ყოფილი პოლიციის უკან მიმდებარე ტერიტორია, სადაც შეიძლება საზოგადოებრივი საპირფარეოს გაკეთება, რადგან საკანალიზაციო სისტემისა და წყლის მიწოდების კუთხით მოსახერხებელი სიტუაციაა, მით უმეტეს, რომ ადრე იქ ფუნქციონირებდა საპირფარეო.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **გიორგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ აკეთის თემის მოსახლეობას ელექტროენერჯია მიეწოდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან. ტრანსფორმატორი განთავსებულია სოფელ ნაგომარში. ადრე იყო თანამშრომელი, რომელიც ავარიული სიტუაციის დროს აკონტროლებდა ელექტროენერჯიის ჩართვა-გამორთვას, მაგრამ ეს პიროვნება განთავისუფლეს სამსახურიდან, რის გამოც აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეექმნათ შუქის მიწოდებასთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრის თქმით, აღნიშნული საკითხის თაობაზე უნდა მიემართოს ენერგო-პრო ჯორჯიას, რათა ისევ დაინიშნოს თანამშრომელი ან მოიძებნოს სხვა რაიმე გამოსავალი პრობლემის მოსაგვარებლად.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ანალოგიური პრობლემის შესახებ მასაც მიმართავს მოსახლეობა. ენერგო-პრო ჯორჯიას ლანჩხუთის სერვისცენტრის ხელმძღვანელის, ოლეგ იმნაიშვილის თქმით, მისი ძალისხმევით მიუხედავად, ვერ შეძლო საკითხის მოგვარება. მუნიციპალიტეტის მერი ესაუბრა დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის ხელმძღვანელს, რომ დაინიშნოს მორიგე და მოსახლეობას მოუგვარდეს ელექტროენერჯიის მიწოდების საკითხი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** განცხადებით, მსოფლიო პრიზიორ ბავშვებს მუნიციპალიტეტის მხრიდან ეკუთვნის ფულადი ჯილდო, მაგრამ ცოტათი გვიანდება ეს პროცესი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებულია, მაგრამ ფულადი ჯილდოს გაცემას აქვს თავისი პროცედურები და ახლო მომავალში ამ ბავშვებს თანხა ჩაერიცხებათ.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მდივნის, **კახაბერ ასკურავას** თქმით, უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად იმატა აზიური ფაროსანას რაოდენობამ. მისი აზრით, უფრო შედეგი ექნება, თუ შეწამვლის პროცესში ჩაერთვება ავიაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ლაშისდელესთან დაზიანებულია ქალაქის დასახელების აღმნიშვნელი აბრა, რომელსაც სავარაუდოდ დაეჯახა დიდი ზომის ავტომანქანა. ეს აბრა ან უნდა გარემონტდეს, ან საერთოდ ასაღებია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ პერიოდში აზიური ფაროსანას ახალი თაობა გამოდის კვერცხიდან. ამიტომ ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულიდან უნდა დაწყებულიყო შეწამვლითი სამუშაოების შემდგომი ეტაპი, რის შესახებ სმს-ების საშუალებით ეცნობათ, მაგრამ სავარაუდოდ, უამინდობის გამო პროცესი შეჩერდა. რაც შეეხება ავიაციის გამოყენებას შეწამვლის პროცესში, მუნიციპალიტეტის მერის თქმით, იყო ამასთან დაკავშირებით საუბრები, მაგრამ აზიურ ფაროსანასთან ერთად ასევე დაიღუპება ფლორასა და ფაუნისთვის სასარგებლო მწერები და ცხოველები.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქში პირველ სკოლასთან აუცილებლად დასამონტაჟებელია შუქნიშანი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** თქმით, თავის დროზე საკრებულოს წევრები შეთანხმდნენ, რომ დაათვალიერებდნენ მერაბ თურქიას სპორტულ დარბაზს. კარგი იქნება, თუ ერთხელ და სამუდამოდ, ამ პიროვნებას მუნიციპალიტეტის მხრიდან გაეწევა დახმარება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **ემზარ თევდორაძე** დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ მერაბ თურქია მართლაც წარმატებული მწვრთნელია და ესაჭიროება ხელშეწყობა, მაგრამ ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას ხელოვნებისა და სხვა სკოლები. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ გაკეთდეს პროექტები იმის მიხედვით, თუ რა პრობლემა და საჭიროება დგას ამა თუ იმ სკოლაში, რათა თანხის მოძიების შემთხვევაში ჩატარდეს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.


მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, არის ისეთი სიტუაციები, რომლებიც თანხობრივად არ არის გათვალისწინებული ადგილობრივ ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, დღეისთვის არ არის ფინანსური შესაძლებლობა ამა თუ იმ სამუშაოების განხორციელების. მას ამ ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანად მიაჩნია ქალაქში არსებული სამი მინი სტადიონისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროსთან მიღწეულია გარკვეული შეთანხმება. ასევე საუბრები იყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან. მისი თქმით, ასევე ძალიან ცუდი მდგომარეობაა სამუსიკო სკოლასთან დაკავშირებით, რადგან ამ სკოლიდან წყალი ჩაედინება გვერდით მოსახლესთან, იტბორება

ეზო და ზიანდება კერძო საკუთრება. ინფორმაცია ამის შესახებ თავად სამუსიკო სკოლის დირექტორმა მიაწოდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწვა საცხოვრებელი სახლი, ასევე ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ოჯახი ხუთი ბავშვით ქუჩაშია დარჩენილი. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ეგებ ამ მოქალაქეებისთვის შექმნილ იქნას სახურავები.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო